საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 4

ქ. თბილისი 28.06.2016

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM)მთავარი მკვლევარი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ნონა ზუმბაძე - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გია კავთელიშვილი - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს რექტორი;
გიორგი ცხვედიანი - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს პრორექტორი;
აკაკი აბზიანიძე - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
შალვა ჭკადუა - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანა რინკიაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;

მერაბ ბერიძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
ნიკოლოზ ახალკაცი - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
გიორგი მესხი - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
რევაზ ზედგინიძე - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის ზურუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან წითაშვილი - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
ნატო ალავიძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გიორგი ღავთაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
ნინო ჩიხლაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
ნინო აბულაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
გულნარა შელია - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
მაია შარაბიძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
ციცინო თურქაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
მაკა იოსელიანი - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი;
ნატალია ფარცხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარემოს დაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის პროგრამის ხელმძღვანელი;
ანდრია აბაშიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის მართვის სპეციალისტი;
ვანო ცერცვაძე- ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჯანდაცვისა და ადიქტოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

გიორგი გვალია;
ციური დურული;
გრიგოლ სოხაძე;
ომარ ფურთუხია;
ნანა შარაბიძე;
დავით გუბელაძე;
მანან ხაჩიძე;
ნანი არაბული;
ეკა ეკალაძე;
ხათუნა საგანელიძე;
თამარ გაიხარაშვილი;
ნინო ღაღანიძე;
ნატო გეგნგიური;
ნატო ალავიძე;

ნ-ლ0

თინათინ ჭინჭარაული;
ციცინო თურქაძე;
ვაჟა ტრაპაიძე;
ნინო ქიმერიძე;
რამაზ ქურდაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:23 საათზე.

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნათელა სახოკია.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დღის წესრიგს დაემატებოდა 2016 წლის 24 ივნისის დღის წესრიგში შეტანილი ის საკითხები, რომლებიც 24 ივნისს ვერ განიხილა აკრედიტაციის საბჭომ. შესაბამისად დღის წესრიგს დაემატებოდა შემდეგი საკითხები:

- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიის და ფუნქციონალური ანალიზის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა საქართველოში არ ყოფნის გამო, 24 ივნისს გადადებული სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა მოხდებოდა აკრედიტაციის საბჭოს შემდგომ სხდომაზე.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6-108

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიის და ფუნქციონალური ანალიზის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სამცხე-ჯავახეთისსახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონტრუირებისა და ტექნოლოგიის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჯანდაცვისა და პოლიტიკის ადიქტოლოგიის საგამისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით საბჭოზე შუამდგომლობები არ ყოფილა. შესაბამისად, საბჭოს ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ეკონომიკა
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ციური დურულმა.

- სასურველი იყო პროგრამის არჩევით კურსებს დამატებოდა სასწავლო კურსები: ეკონომიკის ისტორია და საქართველოს ეკონომიკა;

- პრაქტიკა მოცულობით 10 კრედიტი, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო მე-8 სემესტრში, მასზე დაშვების წინაპირობა იყო „სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონოდა ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნები მეშვიდე სემესტრის ჩათვლით". სასურველი იყო აღნიშნულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობად მითითებოდა მხოლოდ ის რამდენიმე დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევაც აუცილებელი იყო პრაქტიკის კომპონენეტზე დაშვებისათვის;

- არჩევით სასწავლო კურსებს - რეგიონული ეკონომიკა, საჯარო ფინანსები, შრომის ეკონომიკა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი - წინაპირობა არ ჰქონდა. სასურველი იყო აღნიშნულ კურსებზე დაშვების წინაპირობად მითითებოდა ის სავალდებულო დარგობრივი სასწავლო კურსები, რომელთა ათვისების გარეშე გაძნელდებოდა აღნიშნული კურსების შესწავლა (სასწავლო კურსებს - რეგიონული ეკონომიკა, შრომის ეკონომიკა - წინაპირობად ჰქონოდა - მაკროეკონომიკა, ხოლო სასწავლო კურსებს - საჯარო ფინანსები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი - ფინანსების საფუძვლები).

- სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული იყო უახლესი სახელმძღვანელოებით სწავლება, სასურველი იყო სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი, სილაბუსებში დამხმარე

ლიტერატურას დამატებოდა უახლესი ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები), აგრეთვე ელექტრონული რესურსები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამები არ იყო შედგენილი სპონტანურად. დაწესებულებამ რეგიონში ჩაატარა კვლევა თუ რა სჭირდეობოდა თელავის, ყვარელის, გურჯაანის მუნიციპალიტეტებს, ასევე აბიტურიენტების დაახლოებით 82 პროცენტი გამოთქვავდა სურვილს მიეღოთ ეკონომისტის პროფესია. სწორად ამის შემდეგ შემუშავდა პროგრამა.

პროგრამის ხელმძღვანელმა რუსუდან დალაქიშვილმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციას, რომელიც გულისხმობდა საქართველოს ეკონომიკისა და ეკონომიკის ისტორიის ჩადებას არჩევითი საგნების სიაში, ვინაიდან არსებობდა ბევრი არჩევითი საგნები, რომლებიც მოიცავდნენ საქართველოს ეკონომიკის სწავლებას, ხოლო ეკონომიკის ისტორიას რაც შეეხებოდა, სახელმძღვანელო არ იყო გამოცემული 2005 წლის შემდგომ და იმ მიზეზით რომ სხვა საგნებთან არ ყოფილიყო თანხვედრა ვერ მოხერხდა ეკონომიკის ისტორიის არჩევით საგნად ჩასმა.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე დასძინა, რომ რაც შეეხებოდა ექსპერტების მიერ აღნიშნულ საკითხს პრაქტიკასთან დაკავშირებით, არ ეთანხმებოდა, ვინაიდან მეშვიდე სემესტრის ჩათვლით საჭირო იყო საგნების გავლა, თუნდაც იმიტომ, რომ პრაქტიკა ზოგადად გულისხმობდა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და ის ძირითადი საგნები, რომლებიც გასავლელი ჰქონდათ სტუდენტებს უნდა ყოფილიყო ამოწურული, რათა მათ შეძლებოდათ პრაქტიკის გავლა. თუმცა, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამომავლოდ რეკომენდაცია არჩევით საგნებთან დაკავშირებით იქნებოდა გათვალისწინებული, ვინაიდან შესავალი კურსები ისწავლებოდა პირველ სემესტრში და ამ ეტაპზე ვერ მოხერხდებოდა ცვლილებების შეტანა.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ლიტერატურასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ჩართული იყო მრავალ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში, გაწევრიანებული იყო საბიბლიოთეკო ასოციაციაში, რაც იმას გულისხმობდა, რომ ხელი მიუწვდებოდათ ნებისმიერ კვლევაზე, რომელიც ტარდებოდა სხვა და სხვა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. დაწესებულება აუცილებლად შეეცდებოდა კიდევ უფრო გაემდიდრებინა სილაბუსები უახლესი ლიტერატურით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი აპირებდა პირველ რიგში ჯერ განეხორციელებინა პროგრამა და შემდგომ საჭიროებებიდან გამომდინარე დაეხვეწა და გაემდიდრებინა დამატებითი და ძირითადი ლიტერატურით.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათელა სახოკიამ განაცხადა რომ მას აწუხებდა ერთი საკითხი, კერძოდ როდესაც დაწესებულება ამბობდა, რომ მოთხოვნა იყო ეკონომისტებზე. ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადების თანახმად, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იმაზე დიდი რაოდენობით უშვებდნენ ეკონომისტისებსა და ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებს, ვიდრე შრომის ბაზარი მოითხოვდა. შესაბამისად, საჭირო იყო მაგალითად: ინჟინრებისა და აგრონომების მომზადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თელავში როგორც რეგიონში ნამდვილად იყო დეფიციტი კვალიფიციური ეკონომისტების. ისინი უზრუნველყოფდნენ თავიანთი კურსდამთავრებულების დასაქმებას.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ზედმიწევნით ესაუბრა აკადემიური პერსონალის შესახებ, ვინაიდან ეს პროგრამა გახლდათ ახალი მიმართულება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული იყო 26 პერსონალი. აქედან 18 გახლდათ ადგილობრივი, ხოლო დანარჩენი მოწვეული ლექტორები იყვნენ. ამ ადამიანებთან დაწესებულებას აკავშირებდა მრავალწლიანი თანამშრომლობა, ვინაიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა ასევე ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამები. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაშიც ჩართული იყო მოწვეული ლექტორების ნაწილი. განვითარების თვალსაზრისით უნივერსიტეტი თანამშრომლობდა სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებთან. შესაბამისად, პროგრამის განხორციელების პროცესში, თუ დაფიქსირდებოდა რაიმე სახის პრობლემა ამ მიმართულებით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაქსიმალურად უზრუნველყოფდა ახალი ადამიანური რესურსის მოძიებასა და დასაქმებას.

თავისი აზრის დაფიქსირება მოითხოვა მაია გონაშვილმა, რომელიც აღნიშნულ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა სადისერტაციო საბჭოს. მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში ათ წელზე მეტი იყო რაც ფუნქციონირებდა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა, ხოლო ამ ეტაპზე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ჩამოყალიბება იქნებოდა იმის გარანტი, რომ თელავის რეგიონში გარდა ეკონომისტებისა ასევე უნივერსიტეტს ეყოლებოდა კვალიფიციური აკადემიური პერსონალიც.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავდაპირველად იგეგმებოდა 25 სტუდენტის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-106

2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ეკონომიკა
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭომ ექსპერტმა ციური დურულმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმისათვის, სასურველი იყო, სამეცნიერო კომპონენტის ნაცვლად პროგრამაში ყოფილიყო კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი, კვლევით კომპონენტს მიკუთვნებოდა სამაგისტრო ნაშრომი, ხოლო პრატიკულ კომპონენტს - პრატიკა.
- ეკონომიკის ისტორიული განვითარების ტენდენციების სიღრმისეული შესწავლის მიზნით, სასურველი იქნებოდა პროგრამის არჩევით კურსებს დამატებოდა სასწავლო კურსი ,,ეკონომიკური აზრის ისტორია" ან ,,ეკონომიკური დოქტრინები".
- პრაქტიკა მოცულობით 10 კრედიტი, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო მესამე სემესტრში. მასზე დაშვების წინაპირობა იყო: სასწავლო კურსები ,,მაკროეკონომიკა" და ,,კვლევის მეთოდები". სასურველი იქნებოდა აღნიშნულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობად ,,მაკროეკონომიკის" ნაცვლად მითითებულიყო ,,მაკროეკონომიკური პროგნოზირება" (რომლის წინაპირობა იყო ,,მაკროეკონომიკა") და ,,მიკროეკონომიკა".
- სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული იყო უახლესი სახელმძღვანელოებით სწავლება, სასურველი იქნებოდა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო კიდევ უფრო ფართო არჩევანი, სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურას დამატებოდა უახლესი ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები), აგრეთვე ელექტრონული რესურსები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

5-106

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც მზადდებოდა სამაგისტრო პროგრამა ძირითადი ორიენტაცია გადატანილ იქნა ისეთ საკითხებზე, როგორიც იყო სტრატეგიული კომპონენტების შერჩევა, დარგის განვითარება, პროგნოზირება, ანალიტიკოსების მომზადება, ხოლო ეკონომიკის დოქტრინები, ეკონომიკის პოლიტიკა და ისტორია ჩადებული იქნა მისღებ მოსამზადებელ საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება თითქოს მხოლოდ თელავის უნივერსიტეტს შეეძლო მოემზადებინა კვალიფიციური დარგის სპეციალისტი და რომ არა ისინი, თელავს და მთლიანად კახეთის რეგიონს არ ეყოლებოდა კვალიფიციური კადრები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაია გონაშვილმა განაცხადა, რომ თელავის უნივერსიტეტს ნამდვილად ჰქონდა იმის რესურსი, რომ რეგიონისათვის გაეზარდა კვალიფიციური კადრი. ასევე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტები ნამდვილად გამოთქვამდნენ გულისტკივილს, რომ მათ ადგილზე არ შეეძლოთ მიეღოთ სრული განათლება და თბილისში უწევდათ მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, თუ რატომ იქნა გაერთიანებული კვლევის და პრაქტიკის კომპონენტი და რას ემყარებოდა ამ შემთხვევაში დაწესებულების ლოგიკა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან მაგისტრატურა გახლდათ დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების წინაპირობა, პროგრამის სტუდენტი წავიდოდა პრაქტიკის ობიექტზე და იქ გააკეთებდა კვლევებსა და ანალიზს. აღნიშნული თალსაზრისით მოხდა ამ ორი კომპონენტის გაერთიანება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიის და ფუნქციონალური ანალიზის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მათემატიკის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა გრიგოლ სოხაძემ. მან განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ ახალი.

- პროგრამაში იყო ქართულ ენაზე დარგის თანამედროვე ლიტერატურის ნაკლებობა;
- საგანში „კვლევის მეთოდები" მითითებული ლიტერატურა ეხებოდა კვლევის მეთოდიკას საგანმანათლებლო კუთხით და არა უშუალოდ კვლევებს სადოქტორო პროგრამის მიმართულებით;
- დამსაქმებლებთან გასაფორმებელი იყო აქტები.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის სახელწოდება ჟღერდა ეგზოტიკურად, თუმცა როგორც ირკვეოდა თელავის უნივერსიტეტს ამ დარგში ჰყავდა წარმატებული მეცნიერები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საწესებულების წარმომადგენელს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ წლების მანძილზე ასწავლიდა მაგისტრატურაში. მას გაუჩნდა შეგრძნება, რომ რამოდენიმე წელიწადში თელავის უნივერსიტეტში მიილეოდა და გაქრებოდა აღნიშნული დარგი. უნივერსიტეტი გახლდათ დიდი ტრადიციის მქონე, სადაც ასწავლიდნენ ცნობილი ლექტორები. შესაბამისად, მან გადაწყვიტა შეექმნა მათემატიკის ყველაზე თანამედროვე დარგზე დაფუძნებული პროგრამა. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, ქართულ ენაზე არ არსებობდა სახელმძღვანელოები, მაგრამ იყო რამოდენიმე ნაშრომი, რომელიც თარგმნილი იყო ქართულად, პროგრამა ასევე აგებული იყო მონოგრაფიებზე, რომელიც თავდაპირველად იბეჭდებოდა ქართულ ენაზე, მაგრამ ვინაიდან

6-106

გათვლილი იყო საერთაშორისო ასპარეზისათვის იბეჭდებოდა უცხო ენაზე თარგმნაც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული.

საბჭოს წევრი რევაზ სოლომონია დაინტერესდა, რა პირობების დაკმაყოფილება მოუწევდა დოქტორანტს ხარისხის მისანიჭებლად. უნივერსიტეტის წარმომადგენლმა განაცხადა, რომ სამი შრომა უნდა ჰქონოდა გამოქვეყნებული დოქტორანტს, აქედან ერთი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიის და ფუნქციონალური ანალიზის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის სადოქტორო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

15:30 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შსვენება.

სხდომა განახლდა 15:55 საათზე.

4. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო გიორგი გვალიამ.

- მიზანშეწონილი იყო ყველა სახის კომპეტენციაში დამატებოდა და უფრო დეტალურად გაწერილიყო ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები, კერძოდ ცოდნა და გაცნობიერებაში ყველა სწავლის შედეგი ატარებდა დარგობრივ ხასიათს.
- შეფასების სისტემაში დაზუსტებული იყო, 52 ქულის დაგროვების შემთხვევაში სავალდებულო იყო თუ სტუდენტი თავისუფლდებოდა დასკვნითი გამოცდისაგან. მიზანშეწონილი იყო რეგულაცია ყოფილიყო უფრო მკაფიო.
- სწავლის ცალკეული მეთოდები შესაბამისობაში იყო მოსაყვანი დარგის სპეციფიკასთან. მაგ: ლაბორატორიული მეცადინეობა და საბაკალავრო ნაშრომი, საწარმოო პრაქტიკა.
- ცალკეულ სილაბუსებში იყო შემთხვევები როდესაც წყაროს რეკვიზიტები სრულად არ იყო მითითებული (მაგ: შესავავლი სსს-ში, ი.ბროუნლი, საერთაშორისო სამართალი).
- სასურველი იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, კულტუროლოგიის და დიპლომატიური ეტიკეტის კომპონენტების სწავლების გათვალისიწინება თუნდაც არჩევითი სახით.
- სასურველი იყო გადახედილიყო სავალდებულო და არჩევითი საგნების შერჩევის პრინციპი. მაგ: პროგრამა სავალდებულო საგნის სახით ითვალისწინებდა უსაფრთხოებასა და დაზვერვის თემატიკასთან დაკავშირებული საგნის სწავლებას, მაშინ როცა საგნები: საგარეო პოლიტიკის ანალიზი, შედარებითი პოლიტიკა, კონფლიქტოლოგია პროგრამაში არჩევითი კურსების სტატუსით იყო წარმოდგენილი.

ნ-ს ნ

- სასურველი იყო გაძლიერებულიყო დამატებითი უცხო ენების სწავლების კომპონენტი. პროგრამა დამატებითი უცხო ენის სწავლებას ითვალისწინებდა მხოლოდ სამი სემესტრის განმავლობაში, კვირაში 4 საათიანი დატვირთვით, რაც ექსპერტის შეფასებით ვერ უზრუნველყოფდა ენობრივი კომპეტენციის სათანადოდ განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაც შეეხებოდა ზოგად კომპეტენციებს ისინი დაეყრდნენ ცენტრის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს, აკრედიტაციის სახელმძღვანელოს აკრედიტაციის სტანადრტებთან დაკავშირებით, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ცოდნა-გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და განვითარების უნარი გამოიყენებოდა მხოლოდ დარგობრივი უნარების სახით, ხოლო გამჭოლი კომპეტენციები რომელიც გათვალისწინებული იყო პროგრამის სილაბუსებში არ იქნა შეყვანილი.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას 52 ქულასთან დაკავშირებით აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა. ლაბორატორიები აღნიშნულ პროგრამაში ცოტა უცნაურად ჟღერდა, მაგრამ გამოიყენებოდა კომპიუტერული ტექნიკის სწავლების კუთხით. მისაღები იყო რეკომენდაცია მეთოდოლოგიაში ლიტერატურასთან მიმართებით. რაც შეეხებოდა უცხო ენას აღნიშნული გახლდათ მეორე უცხო ენა, დამოკიდებული იყო რომელი რეგიონის ენას აირჩევდა სტუდენტი, დასავლური მიმართულებით გერმანულს სთავაზობდნენ მეორე უცხო ენად. ასევე ჰქონდათ აღმოსავლური ენის კონცენტრაციაც. ყოველივე აღნიშნული ისწავლებოდა მას მერე, რაც სტუდენტი შეისწავლიდა ინგლისურ ენას. თუმცა, რეკომენდაცია გათვალისიწნებულ იქნა, დაწესებულებას არ უნდოდა პროგრამის კონცეფცია ყოფილიყო ისე შემუშავებული, რომ სტუდენტს ჰქონოდა არჩევანის უფლება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდებოდა რომელ რეგიონს აირჩევდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ერთადერთი რეკომენდაცია, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული, გახლდათ კულტუროლოგიასთან დაკავშირებით. ასევე, კვლევის მეთოდებს რაც შეეხებოდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროგრამაში არ ყოფილიყო კვლევის მეთოდები.

ასევე კომენტარი გააკეთა პროგრამის ხელმძღვანელმა აკაკი აბზიანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ არ იზიარებდნენ რეკომენდაციას კულტუროლოგიასა და დიპლომატიურ ეტიკეტთან დაკავშირებით. პროგრამაში იყო ჩადებული დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა, რომელიც იყო იდენტური დიპლომატიის ეტიკეტისა, ვინაიდან მრავალ საკითხს აღნიშნულთან დაკავშირებით ითვალისწინებდა პროგრამა. რაც შეეხებოდა ჰუმანიტარული სამართლის სწავლებას, საერთაშორისო სამართლის მიმართულებით იყო გათვალისწინებული ოთხი საგანი, რომელიც მოიცავდა აღნიშნულ საკითხებს და ამიტომ აღარ გადატვირთეს პროგრამა ვიწრო სპეციალიზაციის საგნებით, რაც მათი აზრით სამაგისტრო დონეს უფრო შეეფერებოდა. პროგრამის ხელმძღვანელისათვის ასევე გაუგებარი იყო რატომ უნდა ჩაესვათ კულტუროლოგია პროგრამის საფუძვლად, როდესაც ხდებოდა ცივილიზაციის ისტორიის სწავლება და ასევე ჰქონდათ სამი კონცენტრაცია არჩევითი სახით - აღმოსავლეთი, დასავლეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე, სტუდენტი შეისწავლიდა ისტორიას, რომელიც თავისთავად მოიცავდა კულტურის საკითხებსაც. კულტუროლოგია გახლდათ წმინდა თეორიული საგანი. მათი აზრით კულტურის თეორიების შესწავლა საბაკალავრო დონეზე მათ არ ჩათვალეს მართებულად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით, თითქოს დაასაბუთა წარმომადგენელმა, რომ დიპლომატიური ეტიკეტი გათვალისწინებული ჰქონდათ პროგრამაში.

5-108

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ ვერ შედგა ვიზიტის ფარგლებში კომუნიკაცია ექსპერტთან, ვინაიდან მას ჰქონდა შენიშვნა აღნიშნულთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამის შესახებ იყო საუბარი, მათ ჩათვალეს, რომ მხოლოდ დიპლომატიური კორპუსი არ უნდა ყოფილიყო ერთადერთი დამსაქმებელი და საბაკალავრო პროგრამაში ეტიკეტის საკითხები ჩადებული იყო არჩევითი კურსების სახით და არა საბაზისო ელემენტად.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა სავალდებულო იყო თუ არა კონცენტრაციის მთლიანად გავლა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტს უნდა გაევლო კონცენტრაცია, რომელიც შედგებოდა სამი ნაწილისაგან, კონცენტრაციის შიგნით ასევე იყო არჩევითი საგნები და უცხო ენა.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, დასკვნითი გამოცდის გარეშე როდესაც იყო შეფასება 52 ქულა, რამდენ ქულას ითვალისწინებდა თავად დასკვნითი გამოცდა და როგორი იყო პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰქონდათ 18 ქულა შუალედურ გამოცდაზე და 30 ქულა - დასკვნით გამოცდაზე იყო გათვალისწინებული. პროგრამაში ჩართული იყო 5 პროფესორი, 15 - ასოცირებული. ასევე, ერთი ასისტენტ პროფესორი ემსახურებოდა პროგრამას.

ექსპერტმა გიორგი გვალიამ გააკეთა შემდეგი კომენტარი: მისი თქმით აღნიშნული რეკომენდაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ბოლო სამი რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდაცია რომელიც შეეხებოდა კვლევის მეთოდების სწავლებას. მისთვის გაუგებარი იყო რომ საბაკალვრო ნაშრომი არ წარმოადგენდა კვლევის კომპონენტს, ვინაიდან ნებისმიერი წარმატებული პროგრამა აუცილებლად საბაკალავრო საფეხურზეც გააცნობდა სტუდენტს კვლევის მეთოდებს. სამაგისტრო საფეხურზე, რომელიც პრონციპულად გახლდათ კვლევაზე ორიენტირებული ხშირად მოდიოდნენ ისეთი სტუდენტები რომელთაც არ გააჩნდათ კვლევის საბაზისო უნარები, რაც საბოლოო ჯამში იწვევდა პროცესის შეფერხებას. ასევე მისთვის გაურკვეველი იყო რითი დააზიანებდა კველევის კომპონენტი აღნიშნული კურსის სწავლების განხორციელებას. მისი შეფასებით, მას მიაჩნდა, რომ პროგრამისთვის უმჯობესი იქნებოდა მითითებული კომპონენტის არსებობა. ასევე, მისი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით საბაკალავრო საფეხურზე შედარებითი პოლიტიკაც უნდა ყოფილიყო შესწავლილი, ვინაიდან წარმოადგენდა საბაზისო მიმართულებას. პროგრამაში მთლიანად იყო ამოღებული მეთოდოლოგიური და კვლევითი კომპონენტი, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო კურსის წარმატებით განხორციელებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მხარს უჭერდა ყველა რეკომენდაციას და აუცილებლად მოხდებოდა მათი სათანადოდ გაზიარება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ინფორმატიკა
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმატიკის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა მანანა ხაჩიძემ საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებიდან ორი არ შეესაბამებოდა სწავლების საფეხურს. რადგან ეს კურსები გახლდათ არჩევითი ისინი არ ახდენდნენ გავლენას სწავლების შედეგების მიღწევაზე. სხვა წარმოდგენილი კურსების სიმრავლე სრულად უზურუნველყოფდნენ დასახულ მიზნებს. ამიტომ მათი ამოღება სასწავლო პროგრამიდან გადაჭრიდა პრობლემას.
- სასურველი იყო პროგრამაში დამატებოდა სასწავლო კურსი ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები", რომელიც მისცემდა ცოდნას და გამოუმუშავებდა დოქტორანტს აუცილებელ უნარებს სასწავლო პროცესის ასისტენტობაში და შემდგომ სასწავლო პროცესში მასწავლებლის სტატუსად ჩართვაში. აღნიშნული საგანი ჩართული იყო უნივერსიტეტის სხვა მოქმედ პროგრამაში.
- რიგ შემთხვევებში („პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურა და ინჟინერია","ხელოვნური ინტელექტი") მითითებული იყო მოძველებული ლიტერატურა. საჭირო იყო მათი ახალი ლიტერატურით გამდიდრება.
- პროგრამის წინაპირობიდან გამომდიონარე დოქტრორანტობის კანდიდატს მოეთხოვებოდა ერთ ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. სილაბუსებში ძირითად და დამხმარე ლიტერატურად მითითებული იყო მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა და სხვა ენის მცოდნე დოქტრორანტი ვერ შეძლებდა ლიტერატურის გამოყენებას. სასურველი იყო სილაბუსებში დამატებოდა ლიტერატურა სხვა უცხო ენაზე.

5-16

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. მან განაცხადა, რომ დაახლოებით 10 წლის მანძილზე მიმდინარეობდა აღნიშნული მიმართულებით სწავლება მაგისტრატურაში, ჰყავდათ ათზე მეტი წარჩინებული კურსდამთავრებული, რეგიონს სამომავლოდ სჭირდებოდა პროფესორები და მომავალი კადრები. ინფორმატიკის მიმართულება საჭირო იყო თითქმის ყველა დარგში, პროგრამა მიანიჭებდა ინფორმატიკის დოქტორის ხარისხს.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა რა მოთხოვნები ჰქონდათ ხარისხის მისანიჭებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარისხი მიენიჭებოდა კრედიტების დაგროვების და შრომების გამოქვეყნების შემთხვევაში, სულ უნდა ჰქონოდა სამი ნაშრომი, საიდანაც ორი იქნებოდა გამოქვეყნებული რეფერირებად ჟურნალში. ასევე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამით დაინტერესებულნი იყვნენ მეზობელი ქვეყნებიც მათ შორის თურქეთი, მათი სტუდენტები სწავლობდნენ სამაგისტრო პროგრამაზე. იყო რეალური მოთხოვნა ინტელექტუალური ექსპორტის.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას კარგად ესმოდა, რომ ასეთი სადოქტორო პროგრამების მიზანი გახლდათ ჰყოლოდათ თავიანთი კადრები, რომლებიც სამომავლოდ ასწავლიდნენ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში.

აკრედიტაციის ექსპერტმა დაამატა, რომ სტუდენტებს ჰქონდათ ძალიან ორიგინალური თემები და ნაშრომები და მათ რომ ჰქონოდათ ხელშეწყობა შესაძლებელი იყო გარკვეული წარმატების მიღწევა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: აგრონომია
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრონომიის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტმა ნანა შარაბიძემ საბჭოზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები.

- საგანმანათლებლო პროგრამაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში და თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურები სასურველი იყო მოეყვანათ ერთმანეთთან შესაბამისობაში.
- სასურველი იყო გამოკვეთილიყო თემატიკების სფეროები და სწავლის შედეგების (ცოდნა/გაცნობიერება და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება) აღწერაში დამატებით ასახულიყო ის კომპეტენციები, რომელსაც დოქტორანტი შეიძენდა კონკრეტული კვლევის სფეროს არჩევის შემთხვევაში.
- სასურველი იყო სასწავლო კურსების დაჯგუფება მომხდარიყო საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე და შესაბამისად შეიცვლებოდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სტატუსი (არჩევითის ნაცვლად სავალდებულო).
- სასურველი იყო სასწავლო კურსების ჩამონათვალს დამატებოდა სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ . აღნიშნული კურსი უნივერსიტეტში იყო დამუშავებული და ისწავლებოდა სხვა სადოქტორო პროგრამებზე.
- სასურველი იყო გასწორებულიყო სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში სიტყვა „ბაკალავრიატში“ და შეცვლილიყო სიტყვით „დოქტორანტურაში“.
- სასურველი იყო დოქტორანტის კოლოქვიუმის შეფასებისას ეხელმძღვანელათ დოქტორანტის შეფასების ინსტრუქციით, რომელსაც დანართი - 3 - ში სასურველი იყო დამატებოდა რეცენზენტის, ხელმძღვანელის და საბოლოო შეფასების გრაფები, რათა

დოქტორანტის 100 ქულიან შეფასებაში ნათლად გამოჩენილიყო როგორც რეცენზენტის ასევე ხელმძღვანელის შეფასება.

- სასურველი იყო დოქტორანტის სემინარის შეფასების დროს ეხელმძღვანელათ დოქტორანტის შეფასების ინსტრუქციით.

- სასურველი იყო წარმოედგინათ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის ყველა რეკომენდაციას და ყველა მათგანი იყო გამოსწორებული.

ექსპერტმა დავით გუბელაძემ განაცხადა, რომ აკადემიური რესურსის თვალსაზრისით წარმოდგენილი იყვნენ ძალიან სერიოზული კადრები, ასევე შექმნილი სოფლის მეურნეობასთან არსებული კვლევითი ცენტრი, რომელიც ემსახურებოდა რეგიონის განვითარებას, ატარებდნენ კვლევებს. პროგრამას გააჩნდა ხუთი ძირითადი კვლევითი მიმართულება რაც მნიშვნელოვანი იყო რეგიონისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადოქტორო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

16: 23 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 16:46 საათზე.

6-106

7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტებმა თამარ გაიხარაშვილმა და ეკა ეკალაძემ.

- სასურველი იყო ,,ტრავმატოლოგია ორთოპედიის 2 „სასწავლო კურსის შედეგების ,,ცოდნა/გაცნობიერება" დაკორექტირება და ამავე კურსის თემატიკის გამდიდრება ორთოპედიული საკითხებით, ვინაიდან ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრისათვის მნიშვნელოვანი იყო ორთოპედიული პათოლოგიების ცოდნა.
- რეკომენდირებული იყო შეფასების სისტემაში პრაქტიკული კომპონენტის შეფასების ჩართვა, იმ სასწავლო კურსებში (მაგ:პრაქტიკა1, პრაქტიკა 2, რევმატოლოგია) სადაც გამოყენებული იყო სწავლების პრაქტიკული მეცადინეობის ფორმატი, რომელიც შედეგის მიხედვით სტუდენტს უვითარებდა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.
- სასურველი იყო მოწვეული პერსონალის სია გამდიდრებულიყო პრაქტიკოსი რეაბილიტოლოგებით (მეთოდისტები).

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენლმა თამარ ვალიშვილმა, რომელიც გახლდათ პროგრამის თანახელმძღვანელი განაცხადა, რომ პროგრამის აქტუალურობა მდგომარეობდა იმაში, რომ რეგიონალურად წყალტუბოში სწარფი ტემპით მიდიოდა ამ კურორტის განვითარება, არსებობდა ნიშა ვინაიდან ძველი კადრები იყო დაკარგული, კვალიფიკაცია იყო ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალვრი, ისინი არ იქნებოდნენ ექიმები არამედ რეაბილიტოლოგები, მასაჟისტები, რაც ითვალისწინებდა ასევე პოსტოპერაციულ რეაბილიტაციას. პროგრამის ხელმძღვანელი გახლდათ მაია შავიანიძე მედიცინის დოქტორი,

ნაწილი საგნებისა მიჰყავდა მას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამაზე 30-მდე აკადემიური პერსონალი იყო გათვალისწინებული, აქცენტი გაკეთებული იყო პრაქტიკოს რეაბილიტოლოგებზე. ამ ეტაპზე კავშირი არ იყო უცხოელ სპეციალისტებთან, მაგრამ სამომავლოდ გათვალისწინებული იყო პროფესორ გიორგი შავიანიძის ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა ექიმის გარეშე თუ ექნებოდათ კურსდამთავრებულებს გადაწყვეტილების მიღების უფლება ვინაიდან პროფესია გახლდათ საპასუხისმგებლო, არასათანადო რეაბილიტაციის დროს შესაძლებელი იყო ადამიანის სერიოზულად დაზიანება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი შეასრულებდნენ ექიმების დანიშნულებას და ექიმის ინსტრუქციის შესაბამისად იმოქმედებდნენ.

სხდომის თავმჯდომარე ნათელა სახოკია დაინტერესდა რა სიმძლავრეებზე იყო დამსვენებლების კუთხით გათვლილი წყალტუბოს კურორტი და რამდენი რეაბილიტოლოგი დასჭირდებოდათ მათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონკრეტულ ციფრებს არ ფლობდა, მაგრამ ამ პერიოდში წყალტუბო გახლდათ მაქსიმალურად დატვირთული და მოთხოვნა იყო დიდი. ასევე დასაქმების კუთხით სამომავლო ორიენტაცია იყო ბორჯომსა და საირმეზეც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტებმა თამარ გაიხარაშვილმა და ეკა ეკალაძემ.

- პროგრამის სტრუქტურის მიხედვით ბაზისური სასწავლო კურსების შემდეგ პროგრამა ორ კონცენტრაციად იყო გაყოფილი - შესაბამისად, ერთი კონცენტრაციის არჩევისას სტუდენტის სწავლის შედეგი ამ კონკრეტული კონცენტრაციის შესაბამისი იყო. პროგრამის შედეგებში კი ორივე კონცენტრაციის შედეგები ერთიანად იყო ასახული. რეკომენდირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადად ასახული სწავლის შედეგების დაყოფა კონცენტრაციების მიხედვით.

- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის ,,სამედიცინო ეთიკა" თემატიკის სახელწოდებების დაკორექტირება. მაგ: სალექციო თემა კონსტიტუციური სამართალი/საქართველოს კონსტიტუცია" ფართო თემა იყო და სასურველი იქნებოდა დაკონკრეტებულიყო რას მოიცავდა ეს სალექციო საათი ,,სამედიცინო ეთიკის" სასწავლო კურსის კონტექსტში.

- სასურფველი იყო დაკორექტირებულიყო ,,ბიოსტატისტიკისა" და ,,ეპიდემიოლოგიის" სასწავლო კურსის თემების სახელწოდებები, ვინაიდან სტუდენტისათვის გასაგები ყოფილიყო სხვაობა ამ ორ სასწავლო კურსს შორის.

- რეკომენდირებული იყო დაკორექტირებულიყო დასკვნითი გამოცდის შეფასება რიგ სილაბუსებში მაგ: ჯანდაცვის ადმინისტრირება და მართვა, სამედიცინო ეთიკა, ეპიდემიოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია და სხვა.

საჭოს წევრი რევაზ სოლომონია დაინტერესდა რაში უნდა ჰქონოდა სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომი გაკეთებული.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. მან განაცხადა, რომ იქნებოდა კვლევები ეპიდემიოლოგიის მიმართულებით. საზოგადოებრივი ჯანდაცვა გახლდათ ჯანდაცვის პოლიტიკის ნაწილი, თუმცა ჩასმული იყო ჯანდაცვის განყოფილებაში და არა სოციალურ მეცნიერებებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინაღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფარმაცია (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის ბაკალავრი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა ეკა ეკალაძემ.

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დეტალურად იყო გაწერილი. საქართველოს მოქალაქეებისათვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყო ეროვნული გამოცდების სერთიფიკატი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების კოეფიციენტების მიხედვით. რადგან პროგრამა იყო ინგლისურენოვანი, ბუნებრივი იყო რომ, ეროვნული გამოცდებისათვის უნივერსიტეტის მიერ განაცხადის გაკეთებისას უცხოური ენის კომპონენტში მიეთითებოდა ინგლისური ენა დასაშვები ზღვარით - სასურველი იყო ეს დეტალი პროგრამაშიც ყოფილიყო ასახული.

- პროგრამა მოიცავდა ენის სწავლების კომპონენტს, სადაც განსაზღვრული იყო ქართული ენის სწავლება, რაც უცხოენოვანი სტუდენტებისათვის იყო განსაზღვრული. ვინაიდან აღნიშნული კურსები პროგრამის ძირითადი შემადგენელი კომპონენტები იყო, სასურველი იყო აღნიშნულ ბლოკს დამატებოდა სხვა უცხოე ენებიც პროგრამაზე ქართულენოვანი სტუდენტების მიღების შემთხვევისათვის.

- პროგრამის ქართულ ვერსიაში მე-7 და მე-8 სემესტრში წარმოდგენილი სასწავლო კურსები, რომელთაც ერთი და იგივე სახელწოდება ქონდათ: ერთი და იგივე ინგლისურენოვან ვერსიაში მე-7 და მე-8 სემესტრში იყო სასწავლო კურსები სახელწოდებით „ფარმაცევტული ზრუნვა და დახმარება" თუმცა ეს კუსები შინაარსობრივად (მიზნების, სწავლების მეთოდები, შინაარსი, შედეგები) განსხვავებული იყო და ინგლისურენოვან ვერსიაში სხვადასხვა სახელწოდებით იყო წარმოდგენილი „Pharmaceutical care" და „pharmaceutical care (practice)". რეკომენდირებული იყო აღნიშნული სასწავლო კუსების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი

5-16

სახელწოდებები შესაბამისობაში ყოფილიყო ერთმანეთთან და ყოფილიყო ასახული სასწავლო გეგმაში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რომელი ქვეყნებიდან ელოდა დაწესებულება უცხოელ სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ იყო ჩატარებული ბაზრის კვლევა, ყავდათ სტუდენტები ნიგერიიდან, იყო მოთხოვნა ერაყიდან და ინდოეთიდან.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი იყო გადასახდი. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტებს უკავშირდებოდნენ ფირმის საშუალებით, მთელი წლის მანძილზე იხდიდნენ 3500 ლარს პირველ წეილწადს, ხოლო მომდევნო წელს შეთავაზება იყო 1000 ლარით ნაკლები.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა საერთო საცხოვრებელი თუ ჰქონდა უნივერსიტეტს უცხოელი სტუდენტებისათვის. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰქონდათ საერთო საცხოვრებელი, თუმცა სტუდენტების უმეტესობა ქირაობდა ბინას და ირჩევდნენ დამოუკიდებლად ცხოვრებას. უნივერსიტეტს ჰქონდა აღნიშნული პროგრამის ქართული ანალოგიც. ინგლისური პროგრამის აუცილებლობა გამოიხატებოდა იმაში, რომ საქართველოში მიმდინარეობდა ბევრი კლინიკური კვლევა ევროპული სტანდარტებით, სადაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩართული კლინიცისტი ფარმაცევტი. ყავდათ ხუთი მოწვეული ლექტორი თბილისიდან, ინგლისური ენა პრობლემას არ წარმოადგენდა ვინაიდან ბევრი პრაქტიკოსი ექიმი კარგად ფლობდა ამ ენას.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა რა ტიპის ფარმაცია იყო აღიშნული. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო საფეხური გახლდათ ზოგადი, მოიცავდა ყველა საკითხს ფარმაცევტულ ტექნოლოგიებს, ანალიზს, მათ შორის ასევე კანონმდებლობასაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფარმაცია
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა.

- სასწავლო გეგმაში სასურველი იყო ჩასწორებულიყო ჩანაწერი - 1.2 ,,სავალდებულო დარგობრივი კურსების" ნაცვლად ყოფილიყო მხოლოდ ,,დარგობრივი კურსები", რადგან ეს უკანასკნელი თავის მხრივ იყოფოდა: 2.1 ძირითად კუსებად და 2.2 მომიჯნავე კუსებად (არჩევითი ბლოკი).

- სასურველი იყო სასწავლო გეგმაში ამა თუ იმ კომპონენტისათვის გათვალისწინებული კრედიტები ჩაშლილიყო საკონტაქტო, დამოუკიდებელ და გამოცდების ჩაბარებისათვის განკუთვნილ საათებად.

- სასურველი იყო პროგრამის აღწერილობაში განსაზღვრულიყო სემესტრის ხანგრძლივობა, სასწავლო და სასესიო კვირების მითითებით.

- სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში, სასურველი იყო მომხდარიყო შეფასების სისტემის სტრუქტურირება. კერძოდ, შეფასების კომპონენტების ჩამონათვალს იქვე მოჰყოლოდა ქულების გრადაცია (ჩაშლა) და არ ყოფილიყო გაფანტული დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში, რომ დოქტორონტისათვის აღნიშნული ინფორმაცია ყოფილიყო უფრო მარტივად აღსაქმელი, ასევე მითითებოდა თითოეულ კომპონენტში შეფასების ჯერადობა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა გამოუყო ფაკულტეტს კორპუსი, ჰყავდათ მოტივირებული და მომზადებული პერსონალი, ჰქონდათ სრულად აღჭურვილი ლაბორატორია, კვლევებში ჩართულები იყვნენ კურსდამთავრებულები.

საბჭოს წევრი რევაზ სოლომონია დაინტერესდა რა მოთხოვნები იყო გათვალისწინებული დოქტორის ხარისხის მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. მან განაცხადა, რომ დოქტორანტს უნდა ჰქონოდა სამი სტატია, ერთი რეფერირებად ჟურნალში, რამოდენიმე მიმართულება იყო წამლის ტექნოლოგიების მიხედვით, შესრულებული კვლევების და ჩატარებული სამუშაოების მიხედვითაც იყო შესაძლებელი ხარისხის დადგენა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის სადოქტორო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

17:21 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17: 35 საათზე.

11. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: კლასიკური ფილოლოგია
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა რამაზ ქურდაძემ.

- სასრველი იყო პროგრამის ცალკეული მონაკვეთების შინაარსის კორექტირება შემდეგნაირად:

რადგანაც სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა კვლევით კომპონენტს, პროგრამის სავალდებულო ნაწილს დამატებოდა სასწავლო კურსი ფილოლოგიური კვლევის მეთოდები, რომლის საკიტხები ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი პტოგრამის ცალკეულ სასწავლო კურსებში.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს არჩევითი კურსებიდან დამატებოდა სასწავლო დისციპლინა სამეცნიერო წერის საფუძვლები.

იმის გამო რომ სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავდა კლასიკური ფილოლოგიის შესწავლას, მიზანშეწონილი იყო ძველი კლასიკური ენების, ბერძნულისა და ლათინურის არჩევითი ბლოკიდან სავალდებულო ბლოკში გადატანა, რათა სტუდენტს აერჩია მათ შორის ერთ-ერთი სწავლისა და კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ამის პარალელურად პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადი ბლოკიდან არჩევითში გადასულიყო თანამედროვე ბერძნული და იტალიური ენები, თითოეულ მათგანს დამატებოდა ენობრივი კომპეტენციის ერთი დონე და მათი შესწავლისთვისაც შერჩევის თავისუფლება მისცემოდა სტუდენტს ძველი ენების შერჩევის ანალოგიურად.

არსებითი იყო რომ ევროპული ენების ყველა სასწავლო კურსი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის შეეთავაზებინა ენის სწავლისა და სწავლების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 დონე, ეს ეხებოდა გერმანულ ენასაც, რაც რეალურად ხელს

შეუწყობდა პროგრამის მონაწილე სტუდენტთა ჩართვას ინტერნაციონალიზაციის პროცესში და მათ მობილობას პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში, მონაწილეობას სხვადასხვა კვლევით პროგრამებში.

მიზანშეწონილი იყო სავალდებულო საგნების ბლოკიდან სასწავლო კურსს ლინგვოსემიოტიკას გარკვეული ცვლილებებით გადაენაცვლა არჩევით ბლოკში. გადასინჯულიყო შინაარსი და ჩანაცვლებულიყო საკითხები დარგის შესაბამისობით მიზნებისა და შედეგებიდან გამომდინარე რაც გულისხმობდა კურსდამთავრებულს შეეძლო კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნებების აღქმა და ადეკვატური გაგება. შესაბამისად, სასურველი იყო დისციპლინა წარმოდგენილი ყოფილიყო კულტურის სემიოტიკის რაკურსში.

შესწორებულიყო სასწავლო დისციპლინის მხატვრული ტექსტის ანალიზის საფუძვლების სათაური მისი შინაარსიდან და საგანმანათლებლო პროგრამის ფორმატიდან გამომდინარე.

- გასწორებულიყო ტექნიკური უზუსტობა სასწავლო პროგრამაში (იხ.გვერდი 4, ბლოკი პროგრამის სტრუქტურა), კერძოდ ამოღებულ იქნას პრპოგრამის სტრუქტურიდან საკურსო ნაშრომი რითაც სასწავლო პროგრამა სრულ შესაბამისობაში მოვიდოდა სასწავლო გეგმასთან რომელშიც საკურსო ნაშრომი მართებულად არ იყო გათვალისწინებული.
- სასურველი იყო კონკრეტულად და ნათლად გაწერილიყო ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და ამის შემდგომ სწავლის შედეგების რუკა შესაბამისობაში მოვიდოდა სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებთან.
- მართებული იქნებოდა თუ დაზუსტდებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მესამე პუნქტი, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებლები აღწერდნენ, განმარტავდნენ თუ რას ითვალისწინებდა გამოცდა კლასიკურ ფილოლოგიაში.
- სასურველი იყო სწავლების მეთოდები ცალკეული სასწავლო დისციპლინისათვის გაწერილიყო კონკრეტულად სასწავლო საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- მიზანშეწონილი იყო შუალედური შეფასებიდან ერთ-ერთი წარმოდგენილი ყოფილიყო პრეზენტაციის სახით. ასევე უცხოური ენის შეფასების მეთოდებში დაფიქსირებულიყო ყველა ის კომპონენტი რომელიც სავალდებულო იყო საერთაშორისო სტანდარტით.
- სასურველი იყო ბიბლიოგრაფიის ნაწილში მითითებული ყოფილიყო ასევე უცხოენოვანი ტექსტების კორპუსი რომლის საფუძველზეც მიმდინარეობდა პრაქტიკული და სასემინარო მეცადინეობა. გადახედილიყო ლიტერატურული პოეტიკის სასწავლო დისციპლინებში სასწავლო მასალა განმეორების (რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა ძირითად და დამატებით ლიტერატურაში გამეორებული სასწავლო მასალა) თავიდან აცილების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 15 წლის წინ დაიწყო აღნიშნულ დარგზე ზრუნვა, დახმარება სთხოვეს რისმაგ გორდეზიანს. დაიწყეს ერთი წიგნით და ერთი სპეციალისტით. ექსპერტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებიდან გათვალისწინებული იყო ძირითადი ნაწილი და დამტკიცებული იქნა უნივერსიტეტის მიერ. სტუდენტები იღებდნენ ყველა ფილოლოგიურ უნარჩვევებს. დაწესებულება თანამშრომლობდა სასულიერო აკადემიასთან, სადაც კეთდებოდა ელექტრონული ქართულ-ლათინური ლექსიკონი. დაწესებულება

6.16

თანამშრომლობდა სახელმწიფო მუზეუმთან და მჭიდრო კავშირი ჰქონდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომაზე ვერ მოხდებოდა მაინორ პროგრამების განხილვა, ვინაიდან პროგრამები რომლებიც არ გადიოდნენ კვალიფიკაციაზე ვერ განიხილებოდნენ ცალკე აკრედიტაციაზე.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ 2011 წლიდან დღემდე აკრედიტებული იყო 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 31 დამატებითი სპეციალობის პროგრამა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე სააკრედიტაციო განაცხადის გაკეთება ძირითადად გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ ფუნქციონირებდა შესაბამისი შინაარსისა და კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ძირითადი სპეციალობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სააკრედიტაციოდ წარმოადგენდა დამატებითი სპეციალობის პროგრამას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ხდებოდა ისეთი დამატებითი სპეციალობის წარმოდგენა სააკრედიტაციოდ, რომლის ძირითადი სპეციალობის პროგრამას დაწესებულებაში არ ხორციელდებოდა.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დამატებითი სპეციალობა სტუდენტისთვის არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას. თუმცა, მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სტუქტურაში მისი არსებობისა და სტუდენტის მიერ მისი არჩევის შემთხვევაში, დამატებითი სპეციალობის მითითება ხდება დიპლომში.

საგულისხმოა, რომ დამატებითი სპეციალობის დეფინიცია კანონმდებლობით არ არის დადგენილი. აღნიშნულ საკითხს ზოგადად არეგულირებს მხოლოდ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომლის თანახმადაც, სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის დროს, შეუძლია - ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით:

ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;

ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;

გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა.

არსებითია, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციას, რომელიც გადის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებულ კვალიფიკაციაზე. როგორც აღვნიშნეთ, დამატებითი სპეციალობა არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას.

შესაბამისად, ცენტრმა და აკრედიტაციის საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ მიზანშეწონილი იყო გადადებულიყო დამატებითი სპეციალობის პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა, იქამდე, სანამ ცენტრი არ შეიმუშავებდა შესაბამის რეკომენდაციებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება მიღებული იქნებოდა ისე, რომ არ დაზარალებულიყო არცერთი მხარე. ცენტრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებთან გამართავდა კონულტაციებს.

შესაბამისად საბჭოზე არ იქნა განხილული დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონტრუირებისა და ტექნოლოგიის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

12. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჯანდაცვის პოლიტიკისა და ადიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ჯანდაცვის პოლიტიკა და ადიქტოლოგია
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ადიქტოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს გააცნო ექსპერტმა ნატო ალავიძემ.

- პროგრამის აღწერილობით ნაწილში, პუნქტში ,,საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და აღწერილობა" სასურველი იყო ჩანაწერი საგნის შესახებ მისულიყო შესაბამისობაში სასწავლო გეგმასთან.
- სასურველი იყო პროგრამის აღწერილობით ნაწილში სასწავლო კომპონენტების ჩამონათვალში არსებული ფორმულირება ,,დიპლომი", რომელიც რეალურად იყო კვლევითი კომპონენტი დაზუსტებულიყო შესაბამისი ფორმულირებით.
- სასურველი იყო პროგრამის სწავლის შედეგების (რომელიც შინაარსობრივად სრულად შეესაბამებოდა კვალიფიკაციათა აღმწერს) ფორმულირებას არ მოეცვა განმარტებითი ხასიათის ჩანაწერებს, არამედ ჩამოყალიბებულიყო კონკრეტული პოსტულატების სახით, რათა თითოეულ სწავლის შედეგი ნათლად ყოფილიყო წარმოდგენილი.
- სასურველი იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაზუსტებულიყო უცხო ენის კომპეტენციის დონე (B2).
- სასურველი იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაზუსტებულიყო რა მიმართულებით მოხდებოდა ,,გასაუბრება მიმღებ კომისიასთან", რაც დეტალურად იყო განსაზღვრული დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით".
- სასურველი იყო სასწავლო კურსის სილაბუსებში, შეფასების ნაწილში მოცემული შეფასების კომპონენტები გაწერილიყო კონკრეტული კრიტერიუმებით, რაც გაზრდიდა

ნ-ლ

შეფასების გამჭვირვალობის ხარისხს და უზრუნველყოფდა სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაითავლისწინეს ყველა რეკომენდაცია.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა მონაცემებით აკადემიური პერსონალის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე უმრავლესობა ჰყავდათ მოწვეული პროფესორები სამედიცინო სფეროდან, თუმცა პროგრამას ასევე ახორციელებდა ადგილობრივი პერსონალიც. ჯანდაცვის პოლიტიკის პროგრამა უნივერსიტეტში დიდი ხნის მანძილზე ხორციელდებოდა, რაც შეეხებოდა ადიქტოლოგიას აღნიშნული მიმართულებით შექმნილი იყო ერთგვარი კონსორციუმი და უცხოელ სპეციალისტებთან ერთად ხდებოდა პროექტზე მუშაობა, რის შემდეგადაც გადაწყდა შექმნილიყო ცალკე პროგრამა. პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ იყო განსაზღვრული. გასაუბრების შემდეგ დაზუსტდებოდა სტუდენტის კომპეტენცია და ჩაირიცხებოდა პროგრამაზე. დაწესებულების მიზანი გახლდათ მოემზადებინა სპეციალისტი, რომელიც თავისუფლად იმუშავებდა ჯანდაცვის სისტემაში და გარდა ამისა, ექნებოდა ღრმა ცოდნა სხვადასხვა დამოკიდებულებების შეხებ, რაც ზიანის გამომწვევი და შემცველი იყო ადამიანისათვის. მას შემდეგ რაც მსურველს გასაუბრებისას შეარჩევდა კომისია, კომისია გაითვალისწინებდა აპლიკანტის განათლებას, პრაქტიკულ გამოცდილებას და ა.შ.

აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ კანონით არ იყო შეზღუდვა, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელობას შეეძლო პროგრამაზე მიღების წინაპირობის განსაზღვრა. პროგრამა გახლდათ სოციალური მიმართულების და შეისწავლიდა ფსიქოლოგიას და ჯანდაცვას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით, პროგრამის სათაურში ჯანდაცვის პოლიტიკა იყო ზედმეტი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმებოდა ვინაიდან პროგრამაში სწორად ადამიანი წარმოადგენდა მთავარ ღერძს და ვინაიდან ადამიანის რესურსების შენარჩუნება ჯანდაცვის პოლიტიკის საგანი გახლდათ. შესაბამისად პროგრამის მიზნების და შედეგების გათვალისწინებით ნამდვილად არ იყო ზედმეტი.

საბჭოს წევრმა რევაზ სოლომონიამ განაცხადა რომ სამაგისტრო კურსი გახლდათ ნარევი, საინტერესო იყო საგნების პროცენტულ განაწილებაში რამდენი იყო ბიოლოგიიდან, ფსიქოლოგიიდან, სოციოლოგიიდან და რა ხარისხი ენიჭებოდა კურსდამთავრებულს.

დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულს მიენიჭებოდა ადიქტოლოგიის მაგისტრის ხარისხი. მან ასევე აღნიშნა, რომ თანაბრად იყო წარმოდგენილი სხვადსხვა საგნები მაგალითად: ჯანდაცვის პოლიტიკას ეძღვნებოდა მთელი პირველი სემესტრი, ეკონომიკის მიმართულებით იყო სამი საგანი, ფსიქოლოგიიდან 3 საგანი, ჯანდაცვის ეკონომიკა, ეპიდემიოლოგია, კვლევის მეთოდები და ა.შ.

საბჭოს წევრი რევაზ სოლომონია დაინტერესდა სად იმუშავებდნენ კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი იქნებოდნენ არა ნარკოლოგები, არამედ ადიქტოლოგები. იმუშავებდნენ კლინიკებში, ჯანდაცვის სისტემებში.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას დარჩა არადამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება, ვინაიდან ჯანდაცვის პოლიტიკის კურსდამთავრებულების კვალიფიკაცია

ნათელი იყო, ასევე ნათელი იყო სად იმუშავებდნენ. პროგრამის საბოლოო შედეგი იყო რამდენიმე სფეროდა და იყო მისთვის გაუგებარი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადიქტოლოგია იყო ახალი ხილი და ცოტა უცნობი. პროგრამის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ ევროპელი ექსპერტები. დანარჩენი თავად წლების მანძილზე სკოლიდან გადმოტანილი გამოცდილება იყო. ეკონომიკა, ჯანდაცვის პოლიტიკა და ფსიქოლოგია დაფუძნებული იყო მხოლოდ მათ გამოცდილებაზე.

ექსპერტმა ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ რაც მან გაარკვია იყო ის რომ კურსდამთავრებული იქნებოდა სპეციალისტი, რომელიც შეიმუშავებდა ნარკომანიის შემცირების პოლიტიკას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას ეგონა ადიქტოლოგია განხილული იქნებოდა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, კერძოდ იქნებოდა სტრატეგია, თუ როგორ ემოქმედა სახელმწიფოს ადიქტოლოგებთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის გაუგებარი იყო პროგრამის შინაარსი და მიზანი.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა რამდენი ადამიანის მიღებას აპირებდნენ პროგრამაზე. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპირებდნენ 25 ადამიანის მიღებას. მან ასევე დაამატა, რომ ვინაიდან ჯანდაცვის პოლიტიკის და ადიქტოლოგიის მიმართ იყო დიდი ინტერესი, 4 წლის წინ პარტნიორებმა შესთავაზეს სწორედ ამ მიმართულებაზე მუშაობა. მუშაობის შეჯამებამ მოიტანა ის, რომ საჯარო პოლიტიკის კონცენტრაცია გადავიდა ჯანდაცვის პოლიტიკაში და დაემატა ადიქტოლოგიის ბირთვი.

სხდომის თავმჯდომარემ ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ საბჭოსთვის არ იყო ნათელი პროგრამის მიზანი და მკაფიოდ არ იყო გამოხატული პროგრამის შინაარსი და დაწესებულების მზაობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჯანდაცვის პოლიტიკისა და ადიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს: ნათელა სახოკიამ და ნანა შათაშვილმა.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჯანდაცვის პოლიტიკისა და ადიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

ნ-108

13. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გარემოს დაცვის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა ციცინო თურქაძემ.

- ინფორმაციის ნათლად წარმოჩენისათვის, პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დასაკონკრეტებელი იყო ინგლისურ ენაში მოთხოვნილი ცოდნის დონე და ამ მხრივ კანდიდატის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოპოვებული სერთიფიკატი ან დიპლომი) აღიარების საკითხი.

- სწავლის შედეგების უკეთ წარმოჩენისა და პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველი იყო სასწავლო კურსი ,,გარემოს დამაბინძურებლების მართვა (ნარჩენების მართვა და ატმოსფერული ჰაერის დაცვა)" გაყოფილიყო ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად.

- სასურველი იყო სასწავლო კურსის დასახელება ,,საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი" შეცვლილიყო დასახელებით ,,საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი". აღნიშნული დასახელება ზუსტად წარმოაჩენდა სასწავლო კურსის შინაარსს, მიზნებსა და შედეგებს და თანხვედრაში იქნებოდა სფეროში არსებულ თანამედროვე მიდგომებთან.

- პროგრამის შემდგომი განვითარებისას სასურველი იყო ზოგიერთ სილაბუსში (მაგ. გარემოს დაცვის პოლიტიკა, გარემოსდაცვითი მართვის ინსტიტუტები, დაცული ტერიტორიების მართვა) მეტი კონკრეტიკით ასახულიყო შეფასების თითოეული კომპონენტის (წერითი ნაშრომი, პრეზენტაცია და სხვა) კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, როგორი იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობა. სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინაპირობას წარმოადგენდა მხოლოდ გასაუბრება.

ნ-16

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა რას მოიცავდა გასაუბრება, რა საკითხების შესახებ ესაუბრებოდნენ აპლიკანტს. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გასაუბრების მიზანი იყო ცოდნის შეფასება. უფლება იმის რომ ადამიანი არ მიეყვანათ გასაუბრებამდე მათ არ ჰქონდათ, ხოლო შემდეგ უკვე გამოირკვეოდა თითოეული აპლიკანტის ცოდნა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა სად დასაქმდებოდნენ კურსდამთავრებული მაგისტრანტები. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან აღნიშნული გახლდათ გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა სავარაუდოდ პიველ რიგში იგულისხმებოდა საჯარო სექტორი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 19:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ნათელა სახოკია

მდივანი
თუთა ნარმანია